



საქართველოს მთავრობამ ევროპულ სასამართლოში შეტანილ ორ საქმეში სიცოცხლის უფლების დარღვევა აღიარა

2015 წ. 17 დეკემბერი

2015 წლის 17 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხა საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი ორი საქმე მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ცალმხრივი დეკლარაციის [1] საფუძველზე აღიარა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ სიცოცხლის უფლების დარღვევა. ორივე საქმე ეხებოდა ადამიანთა უფლებების სისტემურ დარღვევებს. კერძოდ, საქმეში “ეგიაზარიანი საქართველოს წინააღმდეგ” მომჩივანი მიმედ დაშავდა აჭარის რეგიონში ნაღმის აფეთქების შედეგად, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ შეძლო ტერიტორიის დროული და ეფექტური გაწმენდა, ხოლო საქმე “თედლიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ” შეეხებოდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში კახაბერ თედლიაშვილის არასათანადო მოპყრობასა და მის სავარაუდო თვითმკვლელობასთან დაკავშირებულ გარემოებებს. ორივე საქმეში მომჩივნებს წარმოადგენდნენ “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი” მიდლსექსის უნივერსიტეტიდან და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) თბილისიდან.

[ეგიაზარიანი საქართველოს წინააღმდეგ \(განცხადების # 40085/09\)](#)

საქართველოში 2003 წელს ხელისუფლების შეცვლას მოჰყვა პოლიტიკური ვითარების დამაბევა საქართველოს მთავრობასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ მთავრობას შორის. შედეგად, აჭარის იმდროინდელმა ხელისუფლებამ დანაღმა ტერიტორია, რომელიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას დანარჩენი ქვეყნისგან ყოფდა. 2004 წელს, მას შემდეგ რაც სიტუაცია დარეგულირდა, მედია საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტერიტორია ნაღმებისაგან გაიწმინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. 2004 წლის აგვისტოში მომჩივანი, ვართაზარ ეგიაზარიანი, დასასვენებლად იმყოფებოდა აჭარის ტერიტორიაზე, დაბა ჩაქვში. ზღვისპირა ზოლზე მანქანით გავლისას მისი მანქანა ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგადაც ვართაზარ ეგიაზარიანმა და მისმა თანმხლებმა პირმა სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები მიიღეს. მომჩივანს ჩაუტარდა ორივე ფეხის ამპუტაცია მუხლს ქვემოთ. ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ოპერაციის შემდგომი მკურნალობა და პროთეზის ღირებულება ანაზღაურა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. მომჩივანმა თბილისის საქალაქო სასამართლოს შინაგანი საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ მატერიალური და არა-მატერიალური ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა. იგი დავობდა, რომ სწორედ სამინისტროს პასუხისმგებლობას წარმოადგენდა ტერიტორიის დროული და საფუძვლიანი გაწმენდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება სამსახურეობრივი გულგრილობა შსს-ს მიერ და რომ ვერც ერთ სახელმწიფო უწყებას ვერ ექნებოდა ინფორმაცია სანაპირო ზოლზე ნაღმების არსებობის შესახებ. მომჩივანმა მიღებული გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო, ხოლო შემდგომ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მაგრამ მის საჩივარს არც ზედა



ინსტაციის სასამართლოებმა დაუჭირეს მხარი.

მომჩივანი აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობამ არ მიიღო ზომები ტერიტორიის ეფექტური გაწმენდისათვის, რის შედეგადაც მას მიადგა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები და ორივე ფეხი დაკარგა. მომჩივანი დავობდა, რომ აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებული სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების დარღვევას. [2]

ვინაიდან მხარეებმა მოლაპარაკების შედეგად მეგობრულ მორიგებას ვერ მიაღწიეს, საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლის თანახმადაც მან აღიარა სიცოცხლის უფლების დარღვევა და სახელმწიფო ორგანოების მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა სიცოცხლისათვის საშიში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად. ცალმხრივი დეკლარაციით მთავრობამ მომჩივანისათვის კომპენსაციის სახით 8,000 ევროს გადახადის ვალდებულება აიღო და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მთავრობამ იგი უკვე უზრუნველყო საჭირო სამედიცინო მკურნალობითა და პროთეზით, და რომ პროთეზის განსახლებლად მომჩივანს შეეძლო სახელმწიფო დაზღვევის გამოყენება.

მომჩივანმა უარი განაცხადა ცალმხრივი დეკლარაციის მიღებაზე, სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული დაბალი კომპენსაციის გამო. ამასთან, იგი შიშობდა, რომ სახელმწიფო დაზღვევა მას საშუალო ხარისხის პროთეზს მისცემდა და არა ისეთს, როგორც მას 2004 წელს მისცეს. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ საქმის მსვლელობის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიიჩნია შემდეგი მიზეზების გამო: მთავრობამ პირდაპირ აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა (რითაც მომჩივანს საშუალება მიეცა მოითხოვოს საქმის წარმოების განახლება ეროვნული სასამართლოების წინაშე) და ადეკვატური კომპენსაციის გადახდის ვალდებულება იკისრა. შესაბამისად, სასამართლომ საქმე განსახილველი საქმეების სიიდან ამორიცხა.

[თედლიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ \(განცხადების #64987/14\)](#)

2008 წლის აგვისტოში კახაბერ თედლიაშვილი განთავსებული იქნა რუსთავის #6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ცეცხლსასროლ იარაღთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის დაკისრებული სასჯელის მოსახდელად. მისი ოჯახის მტკიცებით, 2010 წლისთვის პატიმარს დაეძაბა ურთიერთობა ციხის თანამშრომლებთან, ვინაიდან მან უარი თქვა ეთანამშრომლა ციხის ხელმძღვანელობასთან და გამხდარიყო მათი “ინფორმატორი”. ამის შემდეგაც ციხის თანამშრომლები მას სავარაუდოდ ძალის გამოყენებითა და სხვა პატიმრებთან ურთიერთობის გაფუჭებით ემუქრებოდნენ. 2011 წლის იანვრისთვის კახაბერ თედლიაშვილი ოჯახს რეგულარულად ატყობინებდა, რომ ციხეში მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. 2011 წლის აპრილში იგი სამართლო საკანში მოათავსეს. სამართლო საკნიდან იგი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს უგზავნიდა წერილებს, რომლითაც ადრესატებს ატყობინებდა, რომ ციხეში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და მის დასაცავად დაუყოვნებელი ზომების მიღებას სთხოვდა. 2011 წლის 30 აპრილს კახაბერ თედლიაშვილი ჩამომხრჩვალნი იპოვნეს სამართლო საკანში. მას კისერზე სამედიცინო ბინტი ჰქონდა შემოხვეული.



სასჯელალსრულების სამინისტრომ მომხდარზე დაიწყო გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. კახაბერ თედლიაშვილის ოჯახმა სერიოზული ეჭვები გამოთქვა თვითმკვლელობის ვერსიასთან დაკავშირებით. ისინი მომხდარის ეფექტურ გამოძიებასა და გამოძიების მასალებზე ხელმისაწვდომას მოითხოვდნენ; თუმცა, საგამოძიებო ორგანოებმა კ.თედლიაშვილის ოჯახის წევრებს არ მისცეს საშუალება გაცნობოდნენ საქმის მასალებს, მათ შორის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივარში მომჩივნები კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ და არსებით დარღვევებზე მიუთითებდნენ - კერძოდ, მათი განცხადებით სახელმწიფომ არ მიიღო საჭირო ზომები კახაბერ თედლიაშვილის სათანადოდ დასაცავად, მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოს ჰქონდა ინფორმაცია იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც პატიმრის სიცოცხლეს ემუქრებოდა. ამასთან, სახელმწიფომ კახაბერ თედლიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები ეფექტურად არ გამოიძია. მომჩივნები აგრეთვე აცხადებდნენ, რომ პატიმრის სამართლო საკანში განთავსება მასა და ციხის თანამშრომლებს შორის არსებული ურთიერთობის ფონზე არასაკმარის ღონისძიებას წარმოადგენდა, ვინაიდან იგი კვლავ რჩებოდა ციხის იმავე თანამშრომელთა კონტროლის ქვეშ, რომლებიც მასზე ზეწოლას ახდენდნენ. მომჩივნები აგრეთვე მიუთითებდნენ კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაზე (სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე უფლება), ვინაიდან საჩივრის წარდგენის დროს გამოძიება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა, კახაბერ თედლიაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების გამო. შესაბამისად, მთავრობამ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს მიმდინარე გამოძიების ეფექტურად წარმართვა, რათა დადგინდეს, გატარდა თუ არა საჭირო და დროული ღონისძიებები ხელისუფლების შესაბამისის წარმომადგენლების მიერ, კახაბერ თედლიაშვილის სიცოცხლისა და კეთილდღეობის დასაცავად. მომჩივნები მიესალმნენ სახელმწიფოს მიერ პროცედურული დარღვევის აღიარებას, მაგრამ ამავედროულად გამოხატეს იმედგაცრუება მთავრობის მიერ კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევის არაღიარების გამო.

მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნების არგუმენტები დაუსაბუთებელი პრეტენზიებია და ისინი მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის მნიშვნელობას ვერ გადაწონის, და აღნიშნა: *“ის ფაქტი, რომ ციხის თანამშრომლებს კავშირი ჰქონდათ ბატონი თედლიაშვილის თვითმკვლელობასთან ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდს წარმოადგენს, და ადგილობრივ დონეზე კომპეტენტური და ობიექტური გამომძიებლების მიერ საფუძვლიან მოკვლევას საჭიროებს”*. შესაბამისად, სასამართლო დაკმაყოფილდა მთავრობის მიერ აღებული ეფექტური გამოძიების ვალდებულებით და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მიერ ცალმხრივი დეკლარაციის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საჩივარი ევროპული სასამართლოს განსახილველ საქმეთა სიაში აღდგება. მომჩივნებს კომპენსაციის სახით მიენიჭათ 10,000 ევრო.



საქართველოს მთავრობის მიერ ორივე საქმეში სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების დარღვევის აღიარება მნიშვნელოვანია. აღნიშნული გადაწყვეტილებები ეროვნულ დონეზე ვალდებულებას წარმოქმნის: კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლებას ეკისრება კ.თედლიაშვილის სიკვდილის ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის ვალდებულება.

[1] იმ შემთხვევაში, თუ ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საქმეში მხარეები ვერ მიაღწევენ მეგობრულ მორიგებას, მოპასუხე მთავრობას უფლება აქვს, წარადგინოს ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევას და მომჩივანისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იღებს. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ [ევროპული სასამართლოს 2012 წლის დოკუმენტი ცალმხრივი დეკლარაციების შესახებ](#) და [სასამართლოს წესები](#).

[2] კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მომჩივანმა ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო საქმის წარმოების ხანგრძლივობაზე და კონვენციის მე-13 მუხლზე (სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) და პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე (ქონების დაცვის უფლება) დაყრდნობით კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მან ვერ შეძლო შინაგან საქმეთა სამინისტროსგან კომპენსაციის მიღება. სასამართლოს წინაშე წარდგენილ ცალმხრივ დეკლარაციაში მთავრობა აღნიშნული მუხლებს არ შეხებია.